



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ფერაძე გრიგოლ



გ. ფერაძე

ფერაძე გრიგოლ (1899-1942), მეცნიერი, თეოლოგი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი და ტექსტოლოგი. დაიბადა საქართველოში, სოფ. ბაკურციხეში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების (1918) შემდეგ გაიწვიეს ჯარში. 1921 წელს მონაწილეობდა ბრძოლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. 1922 წელს გრ. ფერაძე სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ევროპაში პროფ. კ. კეკელიძის, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაიას) და გერმანელი საზოგადო მოღვაწის ა. ლაისტის რეკომენდაციით.

სწავლობდა ბერლინის და ბონის უნივერსიტეტებში. 1927 წელს მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1927-1930 წლებში იყო ბონის უნივერსიტეტის ლექტორი და პრივატ-დოცენტი. დროდადრო მუშაობდა ბრიუსელის, ლუვენის, ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე. 1931 წელს იგი ბერად აღიკვეცა, შემდეგ მღვდლად ეკურთხა და შეუდგა მღვდელმსახურებას პარიზში ახალგახსნილ წმინდანინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. აქვე დააარსა სამეცნიერო-თეოლოგიური ჟურნალი "ჯვარი ვაზისა", რომლის რედაქტორიც თვითონვე იყო. 1933 წელს გადავიდა პოლონეთში ვარშავის უნივერსიტეტის

მართლმადიდებელი თეოლოგიის ფაკულტეტზე პროფესორად და კათედრის გამგედ. 1934 წელს გრ. ფერადე ლონდონის წმინდა სოფიოს საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტად აკურთხეს. 1935 წელს იმოგზაურა რუმინეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში, მოინახულა პეტრიწონის მონასტერი. 1936 წელს იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, სადაც აღმოაჩინა არაერთი ქართული ხელნაწერი. 1937 წელს გაემგზავრა ავსტრიაში და აღწერა იქ დაცული ქართული ხელნაწერები. 1942 წელს იგი გესტაპომ დააპატიმრა ვარშავაში პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობის ბრალდებით. მოთავსებული იყო პავიაკის ციხეში, შემდეგ - მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, იქიდან გადაიყვანეს ოსვენციმის ბანაკში, სადაც დაიღუპა.

საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ გრ. ფერადე წმინდანადაა შერაცხული. "წმინდა მღვდელმონაქმე" არქიმანდრიტ გრიგოლ ფერადის სხენების დღედ 6 დეკემბერი დადგინდა.
